საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

(2023 წლის II კვარტალი)

18.08.2023
www.geostat.ge

18.08.2023

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები

(2023 წლის II კვარტალი)

2023 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 402[1] გემი, რომელთა 31.8 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდია, 30.1 პროცენტი - კონტეინერმზიდი, 29.9 პროცენტი - თხევადი ტვირთმზიდია, ხოლო 8.2 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, სპეციალიზებულ გემებზე და ბუქსირებზე ნაწილდება.

2023 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 61.3 პროცენტით მეტი კონტეინერმზიდი მიიღო, 3.4 პროცენტით მეტი - თხევადი ტვირთმზიდი, 3.8 პროცენტით ნაკლები - გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი და 50.0 პროცენტით ნაკლები - ნაყარი ტვირთმზიდი.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით



[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

18.08.2023

2023 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 20.6 პროცენტი თურქეთის დროშის ქვეშ დაცურავს, 13.7 პროცენტი - პანამის, 13.4 პროცენტი - ლიბერიის, 8.5 პროცენტი - მალტის, 6.2 პროცენტი - რუსეთის, 5.2 პროცენტი - ბულგარეთის, ხოლო 32.4 პროცენტი სხვა ქვეყნებზე ნაწილდება.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით, ერთეული



2023 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 3516.3 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 5.2 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 48.6 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთია, 32.0 პროცენტი - თხევადი ტვირთი, 19.4 პროცენტი - ნაყარი ტვირთი.

18.08.2023

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით, ათასი ტონა



საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობის პროცენტული ცვლილება

(2023 წლის II კვარტალი წინა წლის II კვარტალთან შედარებით, %)



18.08.2023

2023 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურები 1.3 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 0.9 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში შემოსული მგზავრების წილი მცირედით აღემატება გასული მგზავრების წილს და 52.6 პროცენტს შეადგენს.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში, ათასი კაცი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge